N1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის, გიგა წურწუმიას მოსახლეობასთან ანგარიშის ჩაბარების მიზნით გამართული შეხვედრის ოქმი.

შეხვედრა გაიმართა 2025 წლის 29 ოქტომბერს, ,,დევნილთა დასახლებაში“ მოსახლეობასთან.

შეხვედრა დაიწყო 12:00 საათზე , დამთავრდა 13:00 საათზე.

შეხვედრას ესწრებოდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, საკრებულოს წევრები, მანან გვიჩია, ინგა ქარდავა და ლევან ჯინორია.

შეხვედრას უძღვებოდა გიგა წურწუმია.

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

სენაკის მუნიციპალიტეტის სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის, გიგა წურწუმიას 2025 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ.

მომხსენებელი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, გიგა წურწუმია.

მოსახლეობასთან შეხვედრაზე აღვნიშნე, რომ როგორც საკრებულოს მუნიციპალიტეტის სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, აქტიურად ვიყავი ჩართული ყველა მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა-დაგეგმვაში.

საკრებულოს სხდომებზე აქტიურად ვუჭერდი და ვუჭერ მხარს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელ მნიშვნელოვან სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტს.

საკრებულოში ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელაში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭა სახელი, სახელი მიენიჭა სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას I ქუჩის III შესახვევს, მოვისმინეთ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, მოვიწონეთ ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2025 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, მოვისმინეთ და შევაფასეთ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, მოვისმინეთ და შევაფასეთ ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, განვსაზღვრეთ სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იმ დასახლებების ჩამონათვალი, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა და სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურების განთავსების

მიზანშეწონილობა, მოვიწონეთ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2025-2026 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, მოვისმინეთ და შევაფასეთ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები, განვიხილეთ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 18 ივლისს შემოსული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილება, ვიმსჯელეთ სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გოლასკურის მე-4 ქუჩის სახელის გადარქმევის თაობაზე, სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გოლასკურის მე-2 ქუჩის სახელის გადარქმევის თაობაზე, მოვისმინეთ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2025 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე ანგარიში, მოვისმინეთ და შევაფასეთ ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრის" 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, განვიხილეთ მოქალაქე ნოდარ ეჯიბიას განცხადება, სენაკის მუნიციპალიტეტის მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ სახარბედიოს 1-ლი ქუჩის, 1-ლი ქუჩის შესახვევის და მასში შემავალი ჩიხებისათვის გიორგი ბრწყინვალის სახელის მინიჭების თაობაზე, ასევე განცახდება, ვენე არჩაიას ქუჩის ნაწილის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით (დაერქვას ალექსანდრე (კუკური) ჩაჩიბაიას სახელის მინიჭების შესახებ და განცადება სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძამეს საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე [signature] გიგა წურწუმია